

## საკრებულოს წევრის ბიძინა იმნაიშვილის ანგარიში ამომრჩევლებს

მე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულს წევრი, ბიძინა იმნაიშვილი, წარმომადგენლობით ორგანოში არჩეული ვარ დაბა ურეკის მაჟორიტარული ოლქიდან ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი.

ვარ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის და აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის წევრი.

მოგახსენებთ 2015 წელს შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალს:

1. შეძენილი იქნა პლაჟის გამწმენდი ევრო სატანდარტის სამი ერთეული ტექნიკა, რაც უფრო კომფორტულს გახდის ტურისტების მომსახურებას.

2. შეძენილი იქნა 150 ცალი ნაგვის ურნა და ასევე 3 ერთეული ნაგავმზიდი.

3. სოფლის პროექტით გამოყოფილი იყო 24677 ლარი, წვერმაღალას 8372 ლარი, ურეკს 16305 ლარი, აქედან 8372 ლარით შეძენილი იქნა წვერმაღალაზე გამაჯანსაღებელი ტრენაჟორები და ბავშვთა ატრაქციონები.

4. ურეკში, კერძოდ ზედა ურეკში მოწყობილი იქნა პარკი (შესრულებული სამუშაოების ღირებულება 10000 ლარამდე). მოეწყო გარე განათება რომლის ღირებულება 2000 ლარია.

გაიწმინდა მესხის ქუჩაზე სანიაღვრე არხის 740 მეტრიანი მონაკვეთი, რომლის ღირებულება 2000 ლარია.

ასევე დუმბაძის ქუჩაზე გაიწმინდა სანიაღვრე არხი 300 მეტრიანი მონაკვეთი, ღირებულება 1600 ლარი.

ურეკის საბავშვო ბაღისთვის და მე-4 ქუჩაზე ხუთსართულიანი ბინებისთვის შეძენილი იქნა საბავშვო ატრაქციონები, ღირებულება 1800 ლარი. ბინებისთვის შეძენილი იქნა 300 მეტრი წყლის პლასტმასის მილი.

5. 2015 წელს წვერმაღალაზე მოეწყო ხელოვნურ საფარიანი, თანამდეროვე სტილის, ღამის განათებით მინი სტადიონი. ასევე წვერმაღალაზე დაიგო 150 მეტრი სიგრძის ბეტონის საფარი, რაც ხელს შეუწყობს ციტრუსების უპრობლემოდ დაბინავება, გატანას.

6. 2015 წელს ურეკის საბავშვო ბაღში მოეწყო საკლასო ოთახი ლამინატის იატაკით.

7. საშენი მასალით დახმარება გადაეცა 2 ოჯახს.

1. 4 კუბი ფიცარი და 2 კუბი კოჭი.

2. 180 კვ.მ თუნუქის სახურავი.

8. სოციალური დახმარება გაეწია 16 ოჯახს.

9. ლტოლვილების სამ ოჯახს სახელმწიფო პროგრამით გამოეყო შემის შესაძენი თანხა.

10. მუნიციპალიტეტმა შეიძინა წყლის საქაჩი ტუმბო, რომელიც 45 ოჯახისთვის წყლის მიწოდებას უზრუნველყოფს.

11. სამაშველო სამსახურს მუნიციპალიტეტმა გადასცა მათთვის საჭირო ინვენტარი და ჩატარებული სამუშაოებისთვის ფულადი დანამატი.

12. ასევე ადგილობრივი ხელისუფლება რეგულარულად ვთანამშრომლობთ ურეკის საჯარო სკოლასთან არსებულ სამოქალაქო კლუბ „ბლექსთან“. მათთან ერთად განვახორციელეთ შემდეგი პროექტები.

1. მოეწყო აქცია „ჯანმრთელობა იწყება სისუფთავით“.

2. სტუმრად ვეწვიეთ ოზურგეთის მოხუცთა თავშესაფარს, სადაც მათ გადაეცათ ტკბილეულობა და ჩაუტარდათ კონცერტი.

3. ლანჩხუთის რაიონში სოფელ ლესაში მოვინახულეთ არსებული ბავშვთა სახლი, გადავცათ საჩუქრები და გაიმართა თეატრალური წარმოდგენა.

4. განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების მოეწყო გასეირნება დელფინარიუმში, ბოტანიკურ ბაღში, ბათუმის ზოოპარკსა და სხვა ღირსშესანიშნავ ადგილებში. ღონისძიება მიზნად ისახავდა მათ ინტეგრირებას საზოგადოებასთან.

5. განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისათვის გაიმართა თოჯინების თეატრის ჩვენება, სადაც დახმარება ქუთაისის თეატრის მსახიობებმა გაგვიწიეს.

ადგილობრივი ხელისუფლება დიდ მადლობას უხდის სკოლის მასწავლებლებს და მოსწავლეებს გაწეული თანამშრომლობისთვის.

13. ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოსახლეობასთან და სკოლის მოსწავლეებთან ერთად ჩაატარა წინა სააღდგომო აქცია, დაასუფთავეს სასაფლაოები.

14. 2015 წელს დაიწყო და დასრულდა გაზის მაგისტრალის შეყვანა საკურორტო ზონაში, რომელიც აუცილებლად გაგრძელდება და მოიცავს წვერმაღალისა და ურეკის მოსახლეობას.

ასევე მთელი ზაფხულის განმავლობაში, დღეში ორჯერ ირწყვებოდა ცენტრალური გზა.

15. მოხდა ძველი ელ.სადენებისა და ტრანსფორმატორების შეცვლა.

16. გეგმაშია ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა (90 ბავშვია ურეკის ბაღში, 20-30 ბავშვი დადის ქ. ფოთში).

17. ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულების შემდეგ მოხდება ცენტრალური და შიდა გზების მოწყობა სანიაღვრე არხებით, ტროტუარებით და განთებით.

მადლობას გიხდით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და ადგილობრივ მოსახლეობას.